ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 ნოემბრის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი; ვარლამ ჭიპაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი; ვარლამ ჭიპაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N19

2024 წლის 19 ნოემბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი. ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, კონსტანტინე ბერაძე, ინგა მაღრაძე სულ საკრებულოს 22 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ვლადიმერ გელაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

მარიამ შარიქაძე საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ა.ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

ს. გლუნჩაძე ოპერატორი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი; ვარლამ ჭიპაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი; ვარლამ ჭიპაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 21 წევრი.

მომხრე 21

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, ვიმსჯელეთ იყო კი ხვები კომისიამ ჩათვალა, რომ ცვლილება არის საჭირო და დროული და მხარი დაუჭირა საკითხი განიხილოს საკრებულოს სხდომაზე

ი. მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წევრმა აღნიშნა, რომ ის მიესალმება სოციალური კუთხით დახმარების გაზრდას თუმცა მიაჩნია, რომ ბენეფიციართა რაოდენობა წინასწარ იყოს დადგენილი, რომ არ ხდებოდეს ხშირი ცვლილება რაც შეეხება „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის“ აიპისათვის თანხების განაწილებას, მაქვს გონივრული ეჭვი, რომ აქ ხდება თანხების მითვისება.

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ მას უპასუხა, რომ ასეთი ეჭვებით საუბარი მიუღებელია და თუ რაიმე ხელმოსაკიდი ფაქტები გაქვთ შეგიძლიათ მიმართოთ სესაბამის ორგანოებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს დადგენილების პროექტი საბიუჯეტო ცვლილებასთან დაკავშირებით

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 21 წევრი.

მომხრე 20

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის შესახებ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 21 წევრი.

მომხრე 20

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**